

**საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი უნიჯოს  
ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის სამსახურში მიღების წესი,  
მოთხოვნები და დასაქმებული პერსონალის სამუშაო აღწერილობები**

**მუხლი 1. რეგულირების სფერო**

1. საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში-უნივერსიტეტი) ადმინისტრაციული, დამხმარე და მოწვეული პერსონალის სამსახურში მიღების წესი, მოთხოვნები და დასაქმებული პერსონალის (ადმინისტრაციული, მოწვეული და დამხმარე) სამუშაო აღწერილობები ადგენს უნივერსიტეტში ადმინისტრაციული, დამხმარე და მოწვეული პერსონალის სამსახურში მიღების წესს და პერსონალისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, ასევე განსაზღვრავს დასაქმებული პერსონალის სამუშაო აღწერილობებს.

**მუხლი 2. სამსახურში მიღება**

1. უნივერსიტეტში ადმინისტრაციული, დამხმარე ან მოწვეული პერსონალის ვაკანსიაზე შეიძლება მიღებულ იქნეს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელსაც აქვს სათანაო ცოდნა და გამოცდილება.
2. დამსაქმებელი უფლებამოსილია მოიპოვოს ის ინფორმაცია კანდიდატის შესახებ, რომელიც ესაჭიროება მისი დასაქმების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად.
3. კანდიდატი ვალდებულია დამსაქმებელს აცნობოს ნებისმიერი გარემოების შესახებ, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს მას სამუშაოს შესრულებაში ან საფრთხე შეუქმნას დამსაქმებლის ან მესამე პირის ინტერესებს.
4. დამსაქმებელს უფლება აქვს შეამოწმოს კანდიდატის მიერ წარდგენილი ინფორმაციის სისწორე.
5. დამსაქმებლის მიერ მოპოვებული ინფორმაცია კანდიდატის შესახებ და კანდიდატის მიერ წარდგენილი ინფორმაცია არ შეიძლება იყოს ხელმისაწვდომი სხვა პირთათვის კანდიდატის თანხმობის გარეშე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
6. კანდიდატს უფლება აქვს გამოითხოვოს მის მიერ წარდგენილი დოკუმენტები, თუ მასთან დამსაქმებელმა არ დადო შრომითი ხელშეკრულება.
7. დამსაქმებელი ვალდებულია კანდიდატს მიაწოდოს ინფორმაცია:
  - ა) შესასრულებელი სამუშაოს შესახებ;
  - ბ) შრომითი ხელშეკრულების ფორმის (წერილობითი ან ზეპირი) და ვადის (განსაზღვრული ან განუსაზღვრელი) შესახებ;

- გ) შრომის პირობების შესახებ;
  - დ) შრომითი ურთიერთობისას დასაქმებულის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ;
  - ე) შრომის ანაზღაურების შესახებ.
8. უნივერსიტეტში შესაბამის ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნამდე პირმა უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:
- ა) თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ განცხადება;
  - ბ) ავტობიოგრაფია, CV;
  - გ) კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის ან მოთხოვნის შემთხვევაში);
  - დ) შრომის წიგნაკი ან სამუშაო გამოცდილების ცნობა (ასეთის არსებობის ან მოთხოვნის შემთხვევაში);
  - ე) მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
  - ვ) ფოტოსურათი  $\frac{3}{4}$  1 (ერთი) ცალი;
9. უნივერსიტეტი უფლებამოსილია ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა მოითხოვოს დამატებით სხვა დოკუმენტაცია;
10. კანდიდატთან წინასახელშეკრულებო ურთიერთობა დასრულებულად ითვლება მხარეთა მიერ შრომითი ხელშეკრულების დადებით ან დასაქმებაზე უარის თქმის შესახებ შეტყობინებით.
11. დამსაქმებელი ვალდებული არ არის დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება დასაქმებაზე უარის თქმის შესახებ.
12. აკადემიური თანამდებობაზე არჩევის წესი და წარსადგენ დოკუმენტაციათა ნუსხა განისაზღვრება უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობაზე არჩევის წესის და განაცხადის შესაბამისად.

### **მუხლი 3. სამსახურში მიღება გამოსაცდელი ვადით**

1. პირის თანამდებობაზე დანიშვნისას უნივერსიტეტის რექტორს შეუძლია შესასრულებელი სამუშაოსათვის შესაბამისობის შემოწმების მიზნით გამოიყენოს გამოსაცდელი ვადა არა უმეტეს 6 თვისა. გამოსაცდელი ვადა ჩაითვლება შრომით სტაჟში.
2. გამოსაცდელი ვადა, როგორც წესი არ წესდება:
  - ა) სამსახურებრივი დაწინაურებით თანამდებობის დაკავების შემთხვევაში;
  - ბ) სამსახურში დროებით არმყოფი პირის შემცვლელად ან მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნისას.

3. გამოსაცდელი ვადით მხარეებს შორის ხელშეკრულება იდება მხოლოდ წერილობითი ფორმით;
4. გამოსაცდელი ვადით მუშაობა ანაზღაურებადია. ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება უნივერსიტეტსა და დასაქმებულს შორის გაფორმებული წერილობითი ხელშეკრულების შესაბამისად.
5. უნივერსიტეტს უფლება აქვს, გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ნებისმიერ დროს დადოს დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულება ან შეწყვიტოს მასთან გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულება.
6. გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაზე არ ვრცელდება საქართველოს შრომის კოდექსის 38-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები, თუ გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში დასაქმებულის შრომა ანაზღაურდება ნამუშევარი დროის შესაბამისად.

#### **მუხლი 4. ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადება და კონკურსის ჩატარების წესი**

1. კონკურსის მიზანია დაწესებულების ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნ პირთა შერჩევა;
2. განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ ქვეყნდება მასობრივ საინფორმაციო საშუალებებით ან/და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
3. განცხადება კონკურსის გამოცხადების შესახებ უნდა შეიცავდეს ინფორმაციას დასაკავებელი თანამდებობის, კონკურსის ჩატარების თარიღის, საკონკურსო მოთხოვნებისა და კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტების შესახებ, ასევე სხვა ინფორმაციას რექტორის გადაწყვეტილებით;
4. კონკურსში მონაწილეობის მსურველი პირი უფლებამოსილია შესაბამისი დოკუმენტები წარმოადგინოს ელექტრონული ფორმით ან წარმოადგინოს მატერიალური სახით უნივერსიტეტის კანცელარიაში;
5. კონკურსი შედგება ორი ეტაპისგან: დოკუმენტების გადარჩევა და გასაუბრებისგან დასაქმების კანდიდატთან;
6. დოკუმენტების გადარჩევის მიზანია კანდიდატის საკვალიფიკაციო და სხვა მოთხოვნების დოკუმენტური შესაბამისობის დადგენა კონკრეტულ ვაკანტურ თანამდებობასთან;
7. გასაუბრების მიზანია კანდიდატის მიერ დასაკავებელ თანამდებობასთან შესაბამისობის დადგენა;

8. კონკურსის შედეგების გათვალისწინებით გამოვლენილი კანდიდატი ინიშნება შესაბამის თანამდებობაზე;
9. კონკურსი ითვლება ჩაშლილად, თუ მასში მონაწილეობის მისაღებად არ იქნა წარდგენილი არც ერთი განცხადება, აგრეთვე იმ შემთხვევაში თუ ვერ გამოვლინდა შესაბამის თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატი.
10. კონკურსანტის დოკუმენტების გადარჩევას ახორციელებს ადამიანური რესურსების მართვის სამსახური;
11. კონკურსანტთან გასაუბრებას ატარებს ადამიანური რესურსების მართვის სამსახური შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის/პირის ჩართულობით. ადმინისტრაციული ერთეულების წამყვან პოზიციებზე კანდიდატის აყვანის შემთხვევაში გასაუბრებას ასევე ესწრება უნივერსიტეტის რექტორი.

## **მუხლი 5. დავების გადაწყვეტა**

1. დავები, რომლებიც წარმოიშობა გასაუბრებასთან/კონკურსთან დაკავშირებით წყდება მხარეებს შორის მოლაპარაკების გზით, ხოლო მოლაპარაკების მიუღწევლობის შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**შპს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი უნიჯეოში დასაქმებული პირების სამუშაო აღწერილობები**

**მუხლი 2. შპს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი უნიჯეოს რექტორი**

|   |   |
|---|---|
| <b>დაწესებულების დასახელება</b>                           | შპს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი უნიჯეო   |
| <b>თანამდებობის/პოზიციის დასახელება</b>                   | რექტორი   |
| <b>უშუალო დაქვემდებარებაშია (თანამდებობის დასახელება)</b> | დამფუძნებელი/პარტნიორთა კრება   |
| <b>მიზანი</b>   | უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვა და მენეჯმენტი, წარმომადგენლობა სხვა დაწესებულებებთან  |
| <b>ფუნქციები</b>  | <p>უნივერსიტეტის რექტორი უძღვება აკადემიურ, ადმინისტრაციულ და საფინანსო საკითხებს, კერძოდ:</p> <p>ა) განსაზღვრავს უნივერსიტეტის აკადემიური საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, მონაწილეობს სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის სტრატეგიულ დაგეგმვაში;</p> <p>ბ) თავმჯდომარეობს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომებს;</p> <p>გ) „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, მოქმედი სამართლებრივი აქტების და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად დებს, აუქმებს ხელშეკრულებებს აკადემიურ, მოწვეულ, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან;</p> <p>დ) გამოსცემს სამართლებრივ აქტებს აკადემიური, ფინანსური, ადმინისტრაციულ და სხვა საკითხების თაობაზე;</p> <p>ე) ამტკიცებს აკადემიური საბჭოს მიერ წარდგენილ უნივერსიტეტის დებულებას, სტრუქტურული ერთეულების დებულებებს, შინაგანაწესს, ეთიკის კოდექსსა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებს, საქმისწარმოების წესს, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს, ძირითადი საგანმანათლებლო და სტრუქტურული ერთეულების დებულებებს, აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესს;</p> <p>ვ) ამტკიცებს უნივერსიტეტის სტრუქტურას;</p> <p>ზ) ამტკიცებს სწავლის გადასახადის ოდენობას;</p> <p>თ) ადგენს კრედიტის ღირებულებას სასწავლო კურსის განმეორებითი მოსმენისათვის;</p> |

|  |  |
|--|--|
|  | <p>ი) იღებს გადაწყვეტილებას პერსონალის მივლინებაში გაგზავნის, ანაზღაურებადი თუ ანაზღაურების გარეშე შვებულებით სარგებლობის, სტუდენტების, პერსონალის წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;</p> <p>კ) აფორმებს გარიგებებს, გასცემს მინდობილობებს, წყვეტს მოქმედი კანონმდებლობითა დაუნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულ სხვა სახითხებს;</p> <p>ლ) ქმნის მუდმივმოქმედ და დროებით კომისიებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში;</p> <p>მ) აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე ამტკიცებს დაწესებულების განვითარების გრძელვადიან (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმებს (სამწლიანი);</p> <p>ნ) საგანმანათლებლო პროგრამების SWOT ანალიზის საფუძველზე აკადემიურ საბჭოსთან შეთანხმებით იღებს გადაწყვეტილებას პროგრამის გაუქმების თაობაზე;</p> <p>ო) ამტკიცებს საგანმანათლებლო დოკუმენტის - დიპლომისა და დიპლომის დანართის ფორმებს;</p> <p>პ) გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს სასწავლო პროცესის რეგულაციასთან დაკავშირებით; ამტკიცებს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების წესებს;</p> <p>ჟ) კურსდამთავრებულისათვის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე სკოლის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე გამოსცემს სამართლებრივ აქტს დიპლომისა და დიპლომის დანართის გაცემის შესახებ.</p> <p>რ) შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების გადაწყვეტილების საფუძველზე აცხადებს აკადემიური თანამდებობის დასაკავებელ კონკურსს;</p> <p>ს) ამტკიცებს საკონკურსო კომისიის შემადგენლობას;</p> <p>ტ) საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე გამოსცემს სამართლებრივ აქტს პერსონალის აკადემიურ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ;</p> <p>უ) აფორმებს საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულებებს სტუდენტებთან;</p> <p>ფ) სკოლის დეკანის წარდგინების საფუძველზე გამოსცემს ბრძანებას საბაკლავრო, სამაგისტრო ნაშრომების თემის დამტკიცებისა და ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ;</p> <p>ქ) ამტკიცებს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგს;</p> <p>ჟ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის საქმიანობის მარეგულირებელი</p> |
|--|--|

|   |   |
|---|---|
|   | სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს.   |
| ანგარიშვალდებულება  | დამფუძნებლის/პარტნიორთა კრების წინაშე.  |
| სამუშაოს შესრულებისას ურთიერთობა აქვს   | მის დაქვემდებარებაში არსებულ ყველა სტრუქტურულ ერთეულთან; წარადგენს უნივერსიტეტს მესამე პირებთან ურთიერთობაში; |
| <b>საკვალიფიკაციო მოთხოვნები</b>  |   |
| განათლების სფერო  | ----  |
| მინიმალური პროფესიული განათლების დონე   | მაგისტრი  |
| სამუშაო გამოცდილება   | არანაკლებ 5 წლიანი სამუშაო გამოცდილება საგანმანათლებლო სფეროში წამყვან პოზიციაზე                              |
| უცხოური ენები   | რუსული, ინგლისური ან გერმანული  |
| კომპიუტერული პროგრამები   | Word, excel; PowerPoint.  |
| <b>ზოგადი უნარები</b>   |   |
| <ul style="list-style-type: none"> <li>✓ ეფექტური მართვის უნარი;</li> <li>✓ ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარი;</li> <li>✓ გადაწყვეტილების მოკლე ვადასი მიღების უნარი;</li> <li>✓ ორგანიზებულობა და პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა;</li> <li>✓ კომუნიკაბელურობა და გუნდური მუშაობის უნარი;</li> <li>✓ ყურადღების კონცენტრირების მაღალი დონე;</li> <li>✓ საქმიანი ურთიერთობების წარმოების უნარ-ჩვევები;</li> <li>✓ სამუშაოს ვადების განსაზღვრისა და მისი ეფექტური მართვის უნარი;</li> <li>✓ სიახლეებისა და ცვლილებების დროულად მოპოვების და პროფესიულ საქმიანობაში შესაბამისად დანერგვის უნარი</li> </ul> |   |
| <b>სამართლებრივი აქტები</b>   |   |
| <ul style="list-style-type: none"> <li>✓ საქართველოს კონსტიტუცია;</li> <li>✓ საქართველოს შრომის კოდექსი;</li> <li>✓ საქართველოს კანონი „უმადლესი განათლების შესახებ“;</li> <li>✓ განათლების სფეროში მოქმედი სამართლებრივი აქტები;</li> <li>✓ შპს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი უნიჯოს წესდება;</li> <li>✓ შპს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი უნიჯოს დებულება;</li> <li>✓ შპს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი უნიჯოს შინაგანაწესი;</li> </ul>  |   |
| <b>დამატებითი მოთხოვნები</b>  |   |
| არ არის განსაზღვრული  |   |
| <b>სამუშაოზე მიღება</b>   |   |
| დამფუძნებელთა/პარტნიორთა გადაწყვეტილება/კრების ოქმი   |   |

**მუხლი 3. შპს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი უნიჯეოს ვიცე-რექტორი**

|   |  |
|---|--|
| <b>დაწესებულების დასახელება</b>                           | <i>შპს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი უნიჯეო</i>   |
| <b>თანამდებობის/პოზიციის დასახელება</b>                   | <i>ვიცე-რექტორი</i>  |
| <b>უშუალო დაქვემდებარებაშია (თანამდებობის დასახელება)</b> | <i>რექტორთან</i>   |
| <b>მიზანი</b>   | უმალესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვა და მენეჯმენტის ხელშეწყობა   |
| <b>ფუნქციები</b>  | <p>უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი უძღვება აკადემიურ და ადმინისტრაციულ საკითხებს, კერძოდ:</p> <p>ა) ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას;</p> <p>ბ) მონაწილეობს უნივერსიტეტის სტრუქტურის განსაზღვრაში;</p> <p>გ) მონაწილეობს სასწავლო უნივერსიტეტის განვითარების გრძელვადიან (შვიდწლიანი) და სამოკმედო გეგმების (სამწლიანი) შემუშავებაში;</p> <p>დ) მონაწილეობს სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის სტრატეგიულ დაგეგმვაში;</p> <p>ე) კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების ჯეროვნად შესრულებას;</p> <p>ვ) ადამიანური რესურსების სამსახურთან ერთად კოორდინაციას უწევს მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვას;</p> <p>ზ) მარკეტინგის სამსახურთან ერთად უზრუნველყოფს მარკეტინგული გეგმის მომზადებას და განხორციელების ორგანიზებას;</p> <p>თ) მონაწილეობს კვლევის და განვითარების პროექტების შემუშავებაში;</p> <p>ი) ხელს უწყობს ინფრასტრუქტურის განახლების პროექტების შემუშავებას;</p> <p>კ) ხელს უწყობს პერსონალის პროფესიული ზრდის უზრუნველმყოფელი სისტემის შექმნის პროცესს;</p> <p>ლ) შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან /პირებთან ერთად კოორდინაციას უწევს საგანმანათლებლო პროგრამების გაძლიერებასა და სასწავლო პროცესის უკეთ ორგანიზების პროცესს;</p> <p>მ) შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან/პირებთან</p> |



|   |   |
|---|---|
|   | ერთად კოორდინაციას უწევს საერთაშორისო პარტნიორობის გაძლიერებას სწავლა-სწავლების პროცესში;<br>ნ) შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან/პირებთან ერთად კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების პროცესებს;<br>ო) შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან/პირებთან ერთად კოორდინაციას უწევს სტუდენტების მხარდაჭერის პროექტებს;<br>პ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს. |
| <b>ანგარიშვალდებულება</b>   | <i>რექტორის წინაშე.</i>   |
| <b>სამუშაოს შესრულებისას ურთიერთობა აქვს</b>  | <i>მის დაქვემდებარებაში არსებულ ყველა სტრუქტურულ ერთეულთან;</i>   |
| <b>საკვალიფიკაციო მოთხოვნები</b>  |   |
| <b>განათლების სფერო</b>   | ----  |
| <b>მინიმალური პროფესიული განათლების დონე</b>  | მაგისტრი  |
| <b>სამუშაო გამოცდილება</b>  | არანაკლებ 2 წლიანი სამუშაო გამოცდილება საგანმანათლებლო სფეროში  |
| <b>უცხოური ენები</b>  | რუსული, ინგლისური ან გერმანული  |
| <b>კომპიუტერული პროგრამები</b>  | Word, excel; PowerPoint.  |
| <b>ზოგადი უნარები</b>   |   |
| <ul style="list-style-type: none"> <li>✓ ეფექტური მართვის უნარი;</li> <li>✓ ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარი;</li> <li>✓ გადაწყვეტილების მოკლე ვადასი მიღების უნარი;</li> <li>✓ ორგანიზებულობა და პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა;</li> <li>✓ კომუნიკაბელურობა და გუნდური მუშაობის უნარი;</li> <li>✓ ყურადღების კონცენტრირების მაღალი დონე;</li> <li>✓ საქმიანი ურთიერთობების წარმოების უნარ-ჩვევები;</li> <li>✓ სამუშაოს ვადების განსაზღვრისა და მისი ეფექტური მართვის უნარი;</li> <li>✓ სიახლეებისა და ცვლილებების დროულად მოპოვების და პროფესიულ საქმიანობაში შესაბამისად დანერგვის უნარი</li> </ul> |   |
| <b>სამართლებრივი აქტები</b>   |   |
| <ul style="list-style-type: none"> <li>✓ საქართველოს კონსტიტუცია;</li> <li>✓ საქართველოს შრომის კოდექსი;</li> <li>✓ საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“;</li> <li>✓ განათლების სფეროში მოქმედი სამართლებრივი აქტები;</li> <li>✓ შპს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი უნიჯოს წესდება;</li> <li>✓ შპს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი უნიჯოს დებულება;</li> <li>✓ შპს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი უნიჯოს შინაგანაწესი;</li> </ul>  |   |
| <b>დამატებითი მოთხოვნები</b>  |   |

|                         |
|-------------------------|
| არ არის განსაზღვრული    |
| <b>სამუშაოზე მიღება</b> |
| გასაუბრების გზით        |

**მუხლი 4. შპს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი უნიჯეოს რექტორის ოფისის მენეჯერი**

|   |   |
|---|---|
| <b>დაწესებულების დასახელება</b>                           | <i>შპს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი უნიჯეო</i>  |
| <b>თანამდებობის/პოზიციის დასახელება</b>                   | <i>რექტორის ოფისის მენეჯერი</i>   |
| <b>უშუალო დაქვემდებარებაშია (თანამდებობის დასახელება)</b> | რექტორთან   |
| <b>მიზანი</b>   | უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვაში რექტორის საქმიანობის ხელშეწყობა   |
| <b>ფუნქციები</b>  | <p>ა) რექტორის ყოველდღიური საქმიანობის ხელშეწყობა;</p> <p>ბ) საქმიან შეხვედრებთან დაკავშირებული საკითხების ორგანიზება და მოგვარება;</p> <p>გ) საქმიანი ურთიერთობების მოგვარების უზრუნველყოფა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან;</p> <p>დ) ქვეყნის შიგნით ან/და საზღვარგარეთ მოწყობილი კონფერენციებისთვის საჭირო ორგანიზაციული საკითხების მოწყობა და მოგვარება;</p> <p>ე) ქვეყნის შიგნით ან/და საზღვარგარეთ მოწყობილი მივლინებებისათვის საჭირო ორგანიზაციული საკითხების მოწყობა და მოგვარება;</p> <p>ვ) რექტორის თანხმობის შემთხვევაში, შესაბამისი რეაგირების მოხდენა რექტორის სახელზე შემოსულ მოსაწვევ და მოსალოც ბარათებზე;</p> <p>ზ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.</p> |
| <b>ანგარიშვალდებულება</b>                                 | <i>რექტორის წინაშე.</i>   |
| <b>სამუშაოს შესრულებისას ურთიერთობა აქვს</b>              | <i>არსებულ ყველა სტრუქტურულ ერთეულთან</i>   |
| <b>საკვალიფიკაციო მოთხოვნები</b>                          |   |
| <b>განათლების სფერო</b>                                   | ----  |
| <b>მინიმალური პროფესიული განათლების დონე</b>              | ბაკალავრი   |
| <b>სამუშაო გამოცდილება</b>                                | არ არის განსაზღვრული  |

|   |                                |
|---|--------------------------------|
| <b>უცხოური ენები</b>  | რუსული, ინგლისური ან გერმანული |
| <b>კომპიუტერული პროგრამები</b>  | Word, excel; PowerPoint.       |
| <b>ზოგადი უნარები</b>   |                                |
| <ul style="list-style-type: none"> <li>✓ ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარი;</li> <li>✓ ორგანიზებულობა და პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა;</li> <li>✓ კომუნიკაბელურობა და გუნდური მუშაობის უნარი;</li> <li>✓ ყურადღების კონცენტრირების მაღალი დონე;</li> <li>✓ საქმიანი ურთიერთობების წარმოების უნარ-ჩვევები;</li> <li>✓ სამუშაოს ვადების განსაზღვრისა და მისი ეფექტური მართვის უნარი;</li> <li>✓ სიახლეებისა და ცვლილებების დროულად მოპოვების და პროფესიულ საქმიანობაში შესაბამისად დანერგვის უნარი</li> </ul> |                                |
| <b>სამართლებრივი აქტები</b>   |                                |
| <ul style="list-style-type: none"> <li>✓ საქართველოს კონსტიტუცია;</li> <li>✓ საქართველოს შრომის კოდექსი;</li> <li>✓ საქართველოს კანონი „უმადლესი განათლების შესახებ“;</li> <li>✓ შპს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი უნიჯეოს დებულება;</li> <li>✓ შპს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი უნიჯეოს შინაგანაწესი;</li> </ul>  |                                |
| <b>დამატებითი მოთხოვნები</b>  |                                |
| არ არის განსაზღვრული  |                                |
| <b>სამუშაოზე მიღება</b>   |                                |
| გასაუბრების გზით  |                                |

**მუხლი 5. შპს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი უნიჯეოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი**

|   |   |
|---|---|
| <b>დაწესებულების დასახელება</b>         | შპს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი უნიჯეო უნივერსიტეტი  |
| <b>თანამდებობის/პოზიციის დასახელება</b> | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი  |
| <b>უშუალო დაქვემდებარებაშია</b>         | რექტორთან   |
| <b>მიზანი</b>                           | ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი მუშაობის, აგრეთვე მისი აკადემიური პერსონალისა და სამეცნიერო პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შიდა შეფასების მიზნით, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მუდმივი გა |

|           |   |
|-----------|---|
|           | ნვითარების ხელშეწყობა   |
| ფუნქციები | <p>ა) ამყარებს მჭიდრო კავშირს და თანამშრომლობს საზღვარგარეთის ქვეყნების უნივერსიტეტების შესაბამის სამსახურებთან უმაღლესი განათლების საერთო ევროპულ სივრცეში ინტეგრაციის და ბოლონის პროცესის პრინციპების განხორციელების მიზნით;</p> <p>ბ) ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების (მოდულები, საკრედიტო სისტემა და სხვა) გამოყენებისა და ავტორიზაციის/აკრედიტაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადების გზით;</p> <p>გ) მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში, ადგენს მის შესაბამისობას დარგობრივი და ავტორიზაციის ან/და აკრედიტაციის სტანდარტებთან. შეიმუშავებს რეკომენდაციებს მათი გაუმჯობესებისათვის;</p> <p>დ) აძლევს რეკომენდაციას აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარდგენილ პროგრამებზე;</p> <p>ე) საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის აფასებს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაბამისობას, შეიმუშავებს რეკომენდაციებს მის განვითარების საკითხებზე;</p> <p>ვ) ზრუნავს აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე; ახორციელებს აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისათვის საჭირო ღონისძიებებს;</p> <p>ზ) ახორციელებს სასწავლო პროცესის სისტემატურ მონიტორინგს და შედეგებს წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;</p> <p>თ) მონაწილეობს სტუდენტთა მობილობის რეგულირების პროცესში;</p> <p>ი) კოორდინაციას უწევს მიღებული განათლების აღიარების პროცედურებს;</p> <p>კ) კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტში ყველა სტრუქტურული ერთეულის და პერსონალის საქმიანობას, აძლევს მათ შესაბამის მითითებებს/რეკომენდაციებს ხარისხის გაუმჯობესების მიზნით;</p> <p>ლ) ახორციელებს სტრუქტურული ერთეულების, პერსონალის საქმიანობის შეფასებას, ანალიზებს გამოვლენილ გარემოებებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს ხარისხის გაუმჯობესების მიზნით;</p> <p>მ) ნერგავს ხარისხის შიდა შეფასების კულტურას, რისთვისაც ახორციელებს სტუდენტების, ადმინისტრაციული და მოწვეული/აკადემიური პერსონალის გამოკითხვებს, ანალიზს უკეთებს გამოვლენილ გარემოებებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს ხარისხის გაუმჯობესების მიზნით;</p> <p>ნ) უზრუნველყოფს პოტენციური დამსაქმებლების ჩართვას საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და სწავლების პროცესში;</p> <p>ო) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს დაწესებულების მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე სხვა უფლებამოსილებებს;</p> <p>პ) განსაზღვრავს უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე საშუალო და გრძელვადიან სტრატეგიას;</p> <p>ჟ) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების</p> |

|   |   |
|---|---|
|   | <p>ხელშეწყობას, შესაბამისი გეგმებისა და მეთოდოლოგიის შემუშავებას, ასევე, უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურული ერთეულების სტრატეგიული განვითარების ხელშეწყობას;</p> <p>რ) ადგენს სტრატეგიული გეგმის შემუშავების და შეფასების მეთოდოლოგიას. განსაზღვრავს შეფასებისათვის სათანადო ინდიკატორებს;</p> <p>ე) კოორდინაციას უწევს სტრატეგიული გეგმების შემუშავებას, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების მიმართულებებს;</p> <p>ვ) აფასებს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმების შესრულებას და შეიმუშავებს შემდგომი განვითარებისათვის რეკომენდაციებს;</p> <p>ზ) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის კონსულტირებას დაწესებულების სტრატეგიული განვითარების საკითხებზე.</p> |
| <b>ანგარიშვალდებულება</b>   | <i>რექტორი; აკადემიური საბჭო</i>  |
| <b>სამუშაოს შესრულებისას ურთიერთობა აქვს</b>  | <i>არსებულ ყველა სტრუქტურულ ერთეულთან;</i>  |
| <b>საკვალიფიკაციო მოთხოვნები</b>  |   |
| <b>განათლების სფერო</b>   | ----  |
| <b>მინიმალური პროფესიული განათლების დონე</b>  | მაგისტრი  |
| <b>სამუშაო გამოცდილება</b>  | არანაკლებ 5 წლიანი სამუშაო გამოცდილება საგანმანათლებლო სფეროში  |
| <b>უცხოური ენები</b>  | რუსული, ინგლისური ან გერმანული  |
| <b>კომპიუტერული პროგრამები</b>  | Word, excel; PowerPoint.  |
| <b>ზოგადი უნარები</b>   |   |
| <ul style="list-style-type: none"> <li>✓ ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარი;</li> <li>✓ ორგანიზებულობა და პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა;</li> <li>✓ კომუნიკაბელურობა და გუნდური მუშაობის უნარი;</li> <li>✓ ყურადღების კონცენტრირების მაღალი დონე;</li> <li>✓ საქმიანი ურთიერთობების წარმოების უნარ-ჩვევები;</li> <li>✓ სამუშაოს ვადების განსაზღვრისა და მისი ეფექტური მართვის უნარი;</li> <li>✓ სიახლეებისა და ცვლილებების დროულად მოპოვების და პროფესიულ საქმიანობაში შესაბამისად დანერგვის უნარი</li> </ul> |   |
| <b>სამართლებრივი აქტები</b>   |   |

|  |
|--|
| <ul style="list-style-type: none"> <li>✓ საქართველოს კონსტიტუცია;</li> <li>✓ საქართველოს შრომის კოდექსი;</li> <li>✓ საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“;</li> <li>✓ „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი;</li> <li>✓ განათლების სფეროში მოქმედი საკანონმდებლო აქტები;</li> <li>✓ "ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG)" 2015 წლის დოკუმენტის ცოდნა;</li> <li>✓ ბოლონის პროცესის შესახებ ზოგადი ცოდნა;</li> <li>✓ შპს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი უნიჯეოს დებულება;</li> <li>✓ შპს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი უნიჯეოს შინაგანაწესი;</li> </ul> |
| <b>დამატებითი მოთხოვნები</b>   |
| არ არის განსაზღვრული   |
| <b>სამუშაოზე მიღება</b>  |
| გასაუბრების გზით   |

**მუხლი 6. შპს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი უნიჯეოს ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის - სკოლის დეკანი**

|   |   |
|---|---|
| <b>დაწესებულების დასახელება</b>         | შპს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი უნიჯეო   |
| <b>თანამდებობის/პოზიციის დასახელება</b> | დეკანი  |
| <b>უშუალო დაქვემდებარებაშია</b>         | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური  |
| <b>მიზანი</b>                           | ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი მუშაობის, აგრეთვე მისი აკადემიური პერსონალისა და სამეცნიერო პერსონალის ადმინისტრირება და განვითარებაზე მუდმივი ზრუნვა  |
| <b>ფუნქციები</b>                        | <p>ა) თავმჯდომარეობს სკოლის საბჭოს სხდომებს;</p> <p>ბ) სტუდენტისათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭებისთვის სკოლის საბჭოს წარუდგენს იმ სტუდენტთა სიას, რომლებმაც შესაბამისი საფეხურისთვის დააგროვეს კანონმდებლობით დადგენილი და პროგრამით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა;</p> <p>გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია აკადემიური საბჭოს, რექტორის გადაწყვეტილებების შესრულებაზე,</p> <p>დ) ვალდებულია, ყოველწლიურად ანგარიში ჩააბაროს აკადემიურ საბჭოს, გაწეული მუშაობის შესახებ.</p> <p>ე) აწარმოებს მონიტორინგს სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე,</p> |

|  |   |
|--|---|
|  | <p>სტუდენტთა დასწრებასა და მათ აკადემიურ მოსწრებაზე;</p> <p>ვ) მეთვალყურეობს სკოლაში დასაქმებულთა მიერ უფლებამოსილებების განხორციელებას, ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესრულებასა და დაწესებულების შინაგანაწესის დაცვას. ანაწილებს ფუნქციებს სკოლის თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;</p> <p>ზ) კოორდინაციას უწევს სტუდენტების პირადი საქმის წარმოებას. პასუხისმგებელია სკოლის მიერ მომზადებული დოკუმენტაციის (შეფასების უწყისი, სტუდენტის აკადემიური მოსწრების უწყისი, აკადემიური ცნობა და სხვა) მომზადებასა და რექტორისათვის ხელმოსაწერად წარდგენაზე;</p> <p>თ) პასუხისმგებელია მობილობის წესით გადმოსასვლელი სტუდენტების დოკუმენტაციის შემოწმებაზე, მომზადებაზე, საგანმანათლებლო პროგრამების თავსებადობის დადგენაზე;</p> <p>ი) შუამდგომლობს რექტორთან სტუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტისა და მობილობის გამოცხადების თაობაზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად;</p> <p>კ) მონაწილეობს მიღებული განათლების აღიარების პროცედურებში;</p> <p>ლ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, ამ დებულებით, შესაბამისი სკოლის დებულებითა და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.</p> |
| <b>ანგარიშვალდებულება</b>  | <i>ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; რექტორი; აკადემიური საბჭო</i>  |
| <b>სამუშაოს შესრულებისას ურთიერთობა აქვს</b>   | <i>არსებულ ყველა სტრუქტურულ ერთეულთან;</i>  |
| <b>საკვალიფიკაციო მოთხოვნები</b>   |   |
| <b>განათლების სფერო</b>  | ----  |
| <b>მინიმალური პროფესიული განათლების დონე</b>   | მაგისტრი  |
| <b>სამუშაო გამოცდილება</b>   | არანაკლებ 5 წლიანი სამუშაო გამოცდილება საგანმანათლებლო სფეროში  |
| <b>უცხოური ენები</b>   | რუსული, ინგლისური ან გერმანული  |
| <b>კომპიუტერული პროგრამები</b>   | Word, excel; PowerPoint.  |
| <b>ზოგადი უნარები</b>  |   |
| <ul style="list-style-type: none"> <li>✓ ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარი;</li> <li>✓ ორგანიზებულობა და პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა;</li> <li>✓ კომუნიკაბელურობა და გუნდური მუშაობის უნარი;</li> <li>✓ ყურადღების კონცენტრირების მაღალი დონე;</li> </ul> |   |

|  |
|--|
| <ul style="list-style-type: none"> <li>✓ საქმიანი ურთიერთობების წარმოების უნარ-ჩვევები;</li> <li>✓ სამუშაოს ვადების განსაზღვრისა და მისი ეფექტური მართვის უნარი;</li> <li>✓ სიახლეებისა და ცვლილებების დროულად მოპოვების და პროფესიულ საქმიანობაში შესაბამისად დანერგვის უნარი</li> </ul>  |
| <b>სამართლებრივი აქტები</b>  |
| <ul style="list-style-type: none"> <li>✓ საქართველოს კონსტიტუცია;</li> <li>✓ საქართველოს შრომის კოდექსი;</li> <li>✓ საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“;</li> <li>✓ „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი;</li> <li>✓ განათლების სფეროში მოქმედი საკანონმდებლო აქტები;</li> <li>✓ შპს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი უნიჯეოს დებულება;</li> <li>✓ შპს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი უნიჯეოს შინაგანაწესი;</li> </ul> |
| <b>დამატებითი მოთხოვნები</b>   |
| არ არის განსაზღვრული   |
| <b>სამუშაოზე მიღება</b>  |
| გასაუბრების გზით   |

**მუხლი 7. შპს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი უნიჯეოს ფინანსური სამსახურის უფროსი**

|   |   |
|---|---|
| <b>დაწესებულების დასახელება</b>         | შპს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი უნიჯეო   |
| <b>თანამდებობის/პოზიციის დასახელება</b> | ფინანსური სამსახურის უფროსი   |
| <b>უშუალო დაქვემდებარებაშია</b>         | რექტორთან   |
| <b>მიზანი</b>                           | უნივერსიტეტის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირების მიზნით ფულადი სახსრების ეფექტური, დროული და შეუფერხებელი მოძრაობა, აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება   |
| <b>ფუნქციები</b>                        | <p>ა) ლოჯისტიკის სამსახურთან ერთად სასწავლო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და სხვა სახის ქონების აღრიცხვა (ინვენტარიზაცია) და მისი მოვლა-პატრონობის კონტროლი;</p> <p>ბ) აწარმოოს საფინანსო აღრიცხვას საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით და განახორციელოს მასზე კონტროლი;</p> <p>გ) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის წლიური ბიუჯეტის პროექტის შემუშავებას და წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს შემდგომი განხილვისათვის;</p> |



|   |  |
|---|--|
|   | <p>დ) ვალდებულია კონტროლი გაუწიოს სტუდენტების მიერ სწავლის საფასურის გადახდის პროცესს;</p> <p>ე) უზრუნველყოფს მომსახურებისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შესყიდვებს;</p> |
| <b>ანგარიშვალდებულება</b>   | <i>რექტორი</i>   |
| <b>სამუშაოს შესრულების ას ურთიერთობა აქვს</b>   | <i>არსებულ ყველა სტრუქტურულ ერთეულთან;</i>   |
| <b>საკვალიფიკაციო მოთხოვნები</b>  |  |
| <b>განათლების სფერო</b>   | ბიზნესი/ფინანსები  |
| <b>მინიმალური პროფესიული განათლების დონე</b>  | ბაკალავრი  |
| <b>სამუშაო გამოცდილება</b>  | არანაკლებ 5 წლიანი სამუშაო გამოცდილება   |
| <b>უცხოური ენები</b>  | რუსული, ინგლისური ან გერმანული   |
| <b>კომპიუტერული პროგრამები</b>  | Word, excel; PowerPoint.   |
| <b>ზოგადი უნარები</b>   |  |
| <ul style="list-style-type: none"> <li>✓ ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარი;</li> <li>✓ ორგანიზებულობა და პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა;</li> <li>✓ კომუნიკაბელურობა და გუნდური მუშაობის უნარი;</li> <li>✓ ყურადღების კონცენტრირების მაღალი დონე;</li> <li>✓ საქმიანი ურთიერთობების წარმოების უნარ-ჩვევები;</li> <li>✓ სამუშაოს ვადების განსაზღვრისა და მისი ეფექტური მართვის უნარი;</li> <li>✓ სიახლეებისა და ცვლილებების დროულად მოპოვების და პროფესიულ საქმიანობაში შესაბამისად დანერგვის უნარი</li> </ul> |  |
| <b>სამართლებრივი აქტები</b>   |  |
| <ul style="list-style-type: none"> <li>✓ საქართველოს კონსტიტუცია;</li> <li>✓ საქართველოს შრომის კოდექსი;</li> <li>✓ საგადასახადო კოდექსი;</li> <li>✓ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი;</li> <li>✓ საქართველოს კანონი „უმადლესი განათლების შესახებ“;</li> <li>✓ საფინანსო/საგადასახადო სფეროში მოქმედი საკანონმდებლო აქტები;</li> <li>✓ შპს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი უნიჯოს დებულება;</li> <li>✓ შპს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი უნიჯოს შინაგანაწესი;</li> </ul>        |  |
| <b>დამატებითი მოთხოვნები</b>  |  |
| არ არის განსაზღვრული  |  |

|                         |
|-------------------------|
| <b>სამუშაოზე მიღება</b> |
| გასაუბრების გზით        |

**მუხლი 8. შპს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი უნიჯეოს ბუღალტერი**

|  |  |
|--|--|
| <b>დაწესებულუ<br/>ბის<br/>დასახელება</b>                       | შპს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი უნიჯეო  |
| <b>თანამდებობ<br/>ის/პოზიციის<br/>დასახელება</b>               | ბუღალტერი  |
| <b>უშუალო<br/>დაქვემდებარებაშია</b>                            | ფინანსური სამსახური  |
| <b>მიზანი</b>  | უნივერსიტეტის ფუნქციონირების მიზნით ფულადი სახსრების ეფექტური, დროული და შეუფერხებელი მოძრაობა, აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება  |
| <b>ფუნქციები</b>   | <p>ა) აკონტროლოს ყველა სახის გადასახადების (იჯარის, ელექტროენერჯის, ტელეფონის, გათბობისა და სხვა) დროულად გადახდა და აწარმოოს შესაბამის დოკუმენტაცია;</p> <p>ბ) აწარმოოს ბუღალტრული აღრიცხვას საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით და განახორციელოს მასზე კონტროლი;</p> <p>გ) ახორციელებს ანგარიშსწორებას როგორც სახელმწიფოსთან, ასევე კარძო სამართლის იურიდიულ პირებთან, უნივერსიტეტის პერსონალთან, რაც გამოიხატება გადასახადების გადახდასა და ხელფასების გაცემაში;</p> <p>დ) ვალდებულია კონტროლი გაუწიოს სტუდენტების მიერ სწავლის საფასურის გადახდის პროცესს;</p> <p>ე) მომსახურებისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შესყიდვები;</p> |
| <b>ანგარიშვალ<br/>დებულება</b>                                 | რექტორი, ფინანსური სამსახურის უფროსი   |
| <b>სამუშაოს<br/>შესრულების<br/>ას<br/>ურთიერთობ<br/>ა აქვს</b> | არსებულ ყველა სტრუქტურულ ერთეულთან;  |
| <b>საკვალიფიკაციო მოთხოვნები</b>                               |  |
| <b>განათლების სფერო</b>  | ბიზნესი/ფინანსები  |
| <b>მინიმალური</b>  | ბაკალავრი  |

|   |   |
|---|---|
| პროფესიული განათლების დონე  |   |
| სამუშაო გამოცდილება   | არანაკლებ 5 წლიანი სამუშაო გამოცდილება  |
| უცხოური ენები   | რუსული, ინგლისური ან გერმანული          |
| კომპიუტერული პროგრამები   | Word, excel; PowerPoint. პროგრამა ორისი |
| <b>ზოგადი უნარები</b>   |   |
| <ul style="list-style-type: none"> <li>✓ ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარი;</li> <li>✓ ორგანიზებულობა და პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა;</li> <li>✓ კომუნიკაბელურობა და გუნდური მუშაობის უნარი;</li> <li>✓ ყურადღების კონცენტრირების მაღალი დონე;</li> <li>✓ საქმიანი ურთიერთობების წარმოების უნარ-ჩვევები;</li> <li>✓ სამუშაოს ვადების განსაზღვრისა და მისი ეფექტური მართვის უნარი;</li> <li>✓ სიახლეებისა და ცვლილებების დროულად მოპოვების და პროფესიულ საქმიანობაში შესაბამისად დანერგვის უნარი</li> </ul> |   |
| <b>სამართლებრივი აქტები</b>   |   |
| <ul style="list-style-type: none"> <li>✓ საქართველოს კონსტიტუცია;</li> <li>✓ საქართველოს შრომის კოდექსი;</li> <li>✓ საგადასახადო კოდექსი;</li> <li>✓ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი;</li> <li>✓ საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“;</li> <li>✓ საფინანსო/საგადასახადო სფეროში მოქმედი საკანონმდებლო აქტები;</li> <li>✓ შპს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი უნიჯოს დებულება;</li> <li>✓ შპს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი უნიჯოს შინაგანაწესი;</li> </ul>        |   |
| <b>დამატებითი მოთხოვნები</b>  |   |
| არ არის განსაზღვრული  |   |
| <b>სამუშაოზე მიღება</b>   |   |
| გასაუბრების გზით  |   |

**მუხლი 9. შპს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი უნიჯოს იურიდიული სამსახურის უფროსი**

|                                  |  |
|----------------------------------|--|
| დაწესებულების დასახელება         | შპს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი უნიჯო |
| თანამდებობის/პოზიციის დასახელება | იურიდიული სამსახურის უფროსი                              |
| უშუალო დაქვემდებარება            | რექტორთან  |

|   |  |
|---|--|
| <b>რებაშია</b>  |  |
| <b>მიზანი</b>   | უნივერსიტეტის საქმიანობისთვის საჭირო დოკუმენტების საკანონმდებლო აქტების თანახმად შესაბამისობაში მოყვანა, უნივერსიტეტის საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა  |
